MES 0 21 0000320269

02/04/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2021 წლის 19 მარტს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლეერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თამარზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
თამარვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ლელასალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;
ივანეაბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გოდერძიბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
დავითბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ეკაეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
იურიმღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კველვითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკიხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშრისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილემესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მორისშალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დავითტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპსსულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
ვაჟა ვარდიძე - რექტორი
დიმიტრი გეგენავა - ვიცე-რექტორი

ნათია შეყილაძე - კანცლერი
ნინო ქათამაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი
გიორგი გორაძე - სამართლის ფაკულტეტის დეკანი
თამთა მიქაბერიძე - ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის
გოჩა ბარნოვი - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
შორენა პარუნაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობათა მენეჯერი
შორენა გოგიაშვილი - უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელი
ირმა წულაია - ადამიანური რესურსების მენეჯერი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ირაკლი შარაბიძე - რექტორი
ირაკლი კაცაძე - რექტორის პირველი მოადგილე
მურთაზ დევაძე - რექტორის მოადგილე
მანუჩარ ლორია - რექტორის მოადგილე
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
ალექსანდრე ცეცხლაძე - ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანი
მიხეილ ლეჟავა - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი
რომან მამულაძე - ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დეკანი
აბდულ კახიძე - საზღვაო სამეცნიერო- კვლევითი და ინოვაციების ცენტრის უფროსი
გივი ციცქიშვილი - სამეცნიერო კვლევითი პროექტების მენეჯერი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

შპსსულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
ქიარანჯეიმსბურკი
ნინო ჟვანია
ნინო პატარაია
ნინო ტალიაშვილი
ნინო ორაგველიძე
დავით ტეფნაძე

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ია მოსაშვილი
ლარისა პატარაია

საბჭოს სხდომაზე დამსწრე სხვა დაინტერესებული პირები:

ვაჟა ანანიძე
საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

1. **შპსსულხან-საბაორბელიანისსასწავლოუნივერსიტეტისავტორიზაციისსაკითხისგანხილვა;**
2. **სსიპ-ბათუმისსახელმწიფოსაზღვაოაკადემიისმონიტორინგისსაკითხისგანხილვა.**

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრმა, დავით ტეფნაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვლითაცილება, ვინაიდან ავრორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრად იმყოფებოდა დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში. საბჭოს მდივნის ფუნქცია დაეკისრა საბჭოს წევრს, ივანე აბაშიძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

რეკომენდაციები:

1. უნივერსიტეტმა უარი უნდა თქვას სადოქტორო პროგრამების განხორციელების ამბიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგი სასწავლო უნივერსიტეტია, ძალზე ნაადრევია ასეთი ნაბიჯის გადადგმა (ძირითადი რეკომენდაცია).

2. არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მისიის განაცხადი ასახავდეს რეალობას. საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტის ამბიცია, აწარმოებდეს მაღალი დონის კვლევით საქმიანობას, არშეესაბამება მაღალი რეიტინგის მქონე პუბლიკაციებში გამოქვეყნებების ფაქტობრივ მაჩვენებელს.
3. საჭიროა უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით სტუდენტებში, რომლებიც არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას.
4. დამატებითი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საკუთარ მიზნებს მიაღწიოს.
5. ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს რეფორმას, მიზნების უკეთ განხორციელებისთვის. ეს მოიცავს პერსონალის ფუნქციების დუბლირების პრევენციას.
6. უნივერსიტეტის გარე დაინტერესებული მხარეების (როგორიცაა მაგ., კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობა უფრო სისტემატიური და შინაარსიანი უნდა იყოს, მით უმეტეს იქ, სადაც აკადემიური პროგრამის შეფასების პროცესს ეხება საქმე.
7. უნდა დაინერგოს პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა და საბაუნის მიერ მისი მოხმარება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, როგორც ბარიერი (პროცენტი) და მისი გამოთვლის მეთოდი, ასევე პუბლიკაციებიც, რომელთა შესამოწმებლადაც გამოიყენება ის და მონაცემების დაცვის საკითხები, მას შემდეგ, რაც ის რეალურად დაინერგება და ამუშავდება.
8. მართალია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის არსებობა თავისთავად საკმარისია, პერსონალმა და სტუდენტებმაც უნდა მოაწერონ მასზე ხელი უნივერსიტეტში მისვლის პირველივე დღეს, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.
9. უცხოელი სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სტუდენტურ თვითმმართველობაში.
10. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ტესტები.
11. უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტები იმ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ დამაკმაყოფილებელი შედეგები, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ECTS კრედიტები საბაკალავრო პროგრამებში.
12. უნდა მოხდეს მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული მექანიზმებისა და კითხვარების გამოყენება.
13. განმარტებულ უნდა იქნას უცხოენოვანი კურსების „ნაწილობრივ“ დასრულებასთან და გამონაკლისებთან დაკავშირებული მოთხოვნები.
14. აკადემიური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ონლაინში განთავსებულ სასწავლო გეგმას.
15. იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო სასწავლო პროგრამების განხორციელება მაინც გადაწყდება (თუმცა, ასე არ უნდა მოხდეს), მაშინ ისინი უფრო დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს.
16. გამოცდები უნდა იყოს ანონიმური.
17. სამაგისტრო ნაშრომებში მეთოდოლოგიის ნაწილი უნდა იყოს სავალდებულო.
18. პერსონალის საქმიანობის შეფასება საჭიროებს გაუმჯობესებას.
19. აღმოიფხვრას პერსონალის კომპეტენციებისა და როლების გადაკვეთა.
20. შემუშავდეს გეგმა, სადაც მოცემული იქნება მოთხოვნები და წახალისების ფორმები თანამშრომლების მიერ ნაშრომების გამოსაქვეყნებლად მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში და არა ადგილობრივ, შიდაგამოცემებში.
21. შეიქმნას თანამშრომლების პროფესიული რეზიუმეების განახლებული მონაცემთა ბაზა.
22. შემუშვდეს სამომავლო განვითარების ღონისძიებებში შეფასების შედეგების გამოყენების მკაფიო მექანიზმი.
23. გაიზარდოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაფინანსება.
24. საჭიროა შემუშვდეს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ პროგრამებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას. ამასთან, ეს მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს საუკეთესო პრაქტიკას და აკადემიური პერსონალის

აფილირებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი (მეთოდოლოგიის) დანერგვა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სასწავლო დატვირთვა მეტნაკლებად ნორმალურია, ეს უფრო შემთხვევითობაა, ვიდრე წინასწარ შემუშავებული გეგმის ნაწილი.

25. განხორციელდეს მეტი ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა, რათა გაიზარდოს შესაბამისი აქტორების ცნობიერება კვლევის დაგეგმვის უწყვეტი ჯაჭვის, შეფასების პროცესებისა და ხელმისაწვდომი ინსტიტუციონალური მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ.

26. გაიზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა და საერთაშორისო გამოცემებში მათიპუბლიკაციების რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო საქმიანობის მაღალი რეპუტაცია.

27. უნივერსიტეტის პუბლიკაციებისთვის/პერიოდული გამოცემებისთვის ჩამოყალიბდეს სარედაქციო საბჭოები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის „ბრმა“ განხილვას გარეექსპერტების ჩართვით (ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური კოლეგები/ექსპერტები), დაწესებულების პუბლიკაციების ხარისხის შესამოწმებლად.

28. განმტკიცდეს თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან.

29. შემუშავდეს მექანიზმები იმ ის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევები, ასევე, ფოკუსირებული იქნება რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტზე.

30. განხორციელდეს სტუდენტების მხარდაჭერა და წახალისება, ადგილობრივ და საერთშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით.

31. შეიქმნას საერთაშორისო პროექტების, სემინარებისა და კონფერენციების მეტი შესაძლებლობა.

32. შემუშავდეს ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდის მექანიზმები.

33. განვითარდეს და დაინერგოს უფრო ეფექტური მექანიზმები, სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის მიზნით.

34. გაძლიერდეს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, განსაკუთრებით ერთობლივი კვლევების მიმართულებით.

35. გაძლიერდეს თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევითფონდებთან.

36. საუნივერსიტეტო და ფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი კვლევითი განაცხადებისთვის განიმარტოს შეფასების კრიტერიუმები.

37. გააძლიერდეს კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის გარედაფინანსების მოსაპოვებელი მხარდაჭერის მექანიზმები.

38. შემუშავდეს დასაქმების უფრო მკაფიო პოლიტიკა, მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოზიდვის და გაიზარდოს მათი ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.

39. განხორციელდეს ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში და საერთაშორისო კვლევითი გრანტების მოპოვებაში აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობის წახალისება, გაიზარდოს საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში. მოხდეს უცხოელი პარტნიორების მოწვევა ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნის პროცესში.

40. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანა-ხელმძღვანელობის სქემით, რათა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობისა და კვლევითი ნაშრომების ხარისხი.

41. გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და მათთან აფილირებული აკადემიური პერსონალის ცნობიერება შეფასების პროცედურებთან, ღირებულებებთან/ეფექტურობასთან და შედეგებთან დაკავშირებით.

42. საევაკუაციო გასასვლელი კარი არ უნდა იყოს დამზადებული რკინისგან, უსდ-მ ეს უნდა შეცვალოს; გარდაამისა, იგი შიგნიდან გარეთ უნდა იღებოდეს.

43. არქივისთვის განკუთვნილი სივრცე საკმარისი არ არის, უსდ-მ იგი უნდა გააფართოვოს. აღნიშნული სივრცე უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საარქივო მიზნებისთვის და არა როგორც ზოგადი სასაწყობე ოთახი.
44. სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დასკვნა და რეკომენდაციები უნდა გაიცეს უფლებამოსილი სააგენტოს მიერ.
45. დაქირავებულ იქნას შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე ბიბლიოთეკარი.
46. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავებასა და განხილვაში ჩართულ იქნას ყველა დაინტერესებული მხარე.
47. დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვლევების ბიუჯეტი.
48. სასურველია მეტი გამჭვირვალობა ბიუჯეტის დაგეგმვის კუთხით, კერძოდ, ინტერნაციონალიზაციასა და ადმინისტრაციას შორის გადაკვეთასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ექსპერტი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ მოკლედ ჩამოაყალიბებდა დასკვნაში ასახულ გარემოებებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მოუწოდა გამოეთქვათ მოსაზრებები საკ ითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტებს დაწესებულებაზე საკმაოდ კარგი შთაბეჭსილება შეექმნათ. ექსპერტმა სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ აღნიშნა, რომ I, II, III, IV, V სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, VI და VII სტანდარტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-7 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების აღმოფრხვრა დაწესებულებას მოკლე დროში შეუძლია აღმოფხვრას, მაგალითად ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით, სახანძრო უსაფრთხოების საკითხები. რაც შეეხება მე-6 სტანდარტს, მდგომარეობა შედარებით სერიოზულია, კვლევითი ნაწილი საკმაოდ შეზღუდულია, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებასთან შედარებით. ექსპერტთა ჯგუფის საერთო შეფასებით დაწესებულება სრულიად აკმაყოფილებს სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნებს, თუმცა როგორც უნივერსიტეტი, კვლევის მიმართულებით დაწესებულებას არ აქვს გამოცდილება და რესურსები. კიდევ ერთი დასაფიქრებელი საკითხი არის ინტერნაციონალიზაცია, განსაკუთრებით სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა, სადაც იგულისხმება ადგილობრივი სტტუდენტებისა და პერსონალის მობილობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში; კვლევების ინტერნაციონალიზაცია. ყოველივე აღნიშნული ღონისძიებებისათვის დაწესებულებას არ არქვს საკმარისი თანხა გამოყოფილი. თუმცა, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ჰყავს ბევრი საერთაშორისო სტუდენტი, მაგალითად, ნიგერიიდან და ისინი კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსითეტს კარგად აქვს გაწერილი სამომავლო გეგმები, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა, ამ შემთხვევაში იხელმძღვანელა არსებული მდგომარეობაზე დაყრდნობით. მისი თქმით, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იქნებოდა საუკეთესო. თუმცა, როგორც დაწესებულების წარმომადგენლები გეგმავენ, მომდევნო წლიდან სადოქტორო საფეხურის განხორციელებას, არ შეესაბამება უნივერსიტეტში არსებულ რესურსებს. მისი თქმით, ექსპერთა ჯგუფი დიდი სიფრთხილით გაეცნო დასკვნასთან დაკავშირებულ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, გარკვეული საკითხები გაითვალისწინეს, საბოლოოდ დასკვნა ჩამოყალიბდა არსებული სახით.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ექსპერტს თანამშრომლობისათვის და მიმართა ქართველ ექსპერტებს თითოეული სტანდარტის მიხედვით წარმოედგინათ ექსპერტთა ჯგუფოს პოზიცია.

ექსპერტმა ნინო პატარაიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამომწურავად ისაუბრა ყველა სტანდარტთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციებზე და არაფრის დამატება აღარ იყო საჭირო.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვაჟა ვარდიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის პროცესს ყოველთვის უდგებოდა, როგორც შემოქმედებით პროცესს, ყოველ ასეთ შეფასებას უნივერსიტეტი განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავდა. მისი თქმით, ექსპერტთა დასკვნაში იყო რეკომენდაციები რომელსაც დაწესებულება ეთანხმებოდა, თუმცა იყო ისეთი საკითხებიც რომელსაც ნაწილობრივ ან არ იზიარებდნენ და ამასთან დაკავშირებით საბჭოს წარმოუდგინა პრეზენტაცია. მე-3, მე-18, 22-ე და 25-ე როკომენდაციებს დაწესებულების წარმომადგენლები სრულად იზიარებდნენ. 26-ე, 29-ე, 31-ე, 34-ე, 35-ე, 37-ე რეკომენდაციები ეწინააღდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ბევრი უზუსტობები იყო, ტაც რეალობას არ შეესაბამებოდა. რაც შეეხებოდა დანარჩენ რეკომენდაციებს, საკამათო იყო და დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავდნენ მათ პოზიციას, თუ რატომ არ ეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებებს.

რეკომენდაციებს, რომლებიც ეხებოდა უფრო მეტი შესაძლებლობების გახსნას ევროპის უნივერსიტეტებთან, კვლევით ფონდებთან, დაფინანსების ახალ მექანიზმებთან, დაწესებულებას ეთანხმებოდა და იზიარებდა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფაქტორები უნივერსიტეტს უკვე გააჩნდა. დაწესებულების წარმომადგენლი განმარტებით უნივერსიტეტს ჰქონდა უფლება და ამბიცია, რომ გადასულიყო სადოქტორო სწავლებაზე. მათ მიაჩნდათ, რომ უნივერსიტეტის არსებობის გარკვეულ ეტაპზე უნდა დამდგარიყო მომენტი, რომ კარგი სასწავლო უნივერსიტეტიდან მომხდარიყო გადასვლა განვითარების ახალ საფეხურზე და გაეგრძელებინა ფუნქციონირება როგორც უნივერსიტეტს, განეხორციელებინა სადოქტორო პროგრამები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ გაზიარებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის დროს გაითვალისწინეს ოთხი რეკომენდაცია, თუმცა კიდევ ერთხელ წაკითხვისა და გააზრების შემდგომ, კიდევ ექვსი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ მიაჩნდათ დაწესებულებას ისედაც ჰქონდა აღნიშნული საკითხები.

მისი თქმით, რეკომენდაციების პირველი ნაწილი იყო ყველაზე მძიმე, რომლებიც ან ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავდა ან ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას. სწორედ ამიტომ, არცერთი არ იქნა გათვალისწინებული. ასეთებია:

1. უნივერსიტეტმა უარი უნდა თქვას სადოქტორო პროგრამების განხორციელების ამბიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგი სასწავლო უნივერსიტეტია, ძალზე ნაადრევია ასეთი ნაბიჯის გადადგმა (ძირითადი რეკომენდაცია).

მისი თქმით, აღნიშნული წარმოადგენდა შეჯამებით და კრებსით რეკომენდაციას. ხელოვნურად იყო ჩასმული 1.2 კომპონენტში, ავტორიზაცია მსგავსი რეკომენდაციის გაცემას არ ითვალისწინებდა. ეს რეკომენდაცია უნდა ამოსულიყო ავტორიზაციის დასკვნის შემაჯამებელი სტანდარტებიდან, სადაც ერთ-ერთი მათგანი ან რამდენიმე მაინც უნდა ყოფილიყო შეფასებული როგორც ''არ შეესაბამება მოთხოვნებს''. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი ფორმით მოცემული რეკომენდაცია ავტორიზაციის არც ერთ დასკვნასა და პროექტში ფიზიკურად არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია შეყილაძემ გააკეთა განმარტება შემდეგ რეკომენდაციებთან დაკავშირებით:

5. ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს რეფორმას, მიზნების უკეთ განხორციელებისთვის. ეს მოიცავს პერსონალის ფუნქციების დუბლირების პრევენციას.

19. აღმოიფხვრას პერსონალის კომპეტენციებისა და როლების გადაკვეთა.

აღნიშნული რეკომენდაციები ეხებოდა არაეფექტურ სტრუქტურას,რომელიც ვერ უზრუნველყოფდა სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და ფუნქციების დუბლირებას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება ამ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებდა, იქიდან გამომდინარე, რომ თუნდაც ყოფილიყო დუბლირების ფატქები, კონკრეტულად რა ნაწილში

ვერ უზრუნველყოფდა სტრატეგიის მიღწევას და გაუგებარი იყო, საიდან გამომდინარეობდა ეს შემთხვევა. რაც შეეხება, ფუნქციების დუბლირების საკითხს, არც ერთ უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სახელმძღვანელოში ფუნქციები დუბლირებული არ იყო. მათი მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო ინფორმაციის ნაკლებობით. რეალობას არ შეესაბამებოდა და ისინი მზად იყვნენ მოხდარიყო თითოეულის დაზუსტება. სტრუქტურაზე, რომელიც სტრატეგიასთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი, უნივერსიტეტმა იმუშავა გარე რესურსის ჩართულობით. მოიწვია კონკრეტული მაღალი კვალიფიკაციის მქონე საკონსულტაციო კომპანია, შესაბამისად, ამის გათვალისწინებით მოხდა თითოეული ფუნქციის გაწერა და დაზუსტება. ფუნქციების დუბლიერება გამორიცხა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ ის შინაარსობრივ დაზუსტებას საჭიროებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ ისაუბრა მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით:
7. უნდა დაინერგოს პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა და საბაუნის მიერ მისი მოხმარება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, როგორც ბარიერი (პროცენტი) და მისი გამოთვლის მეთოდი, ასევე პუბლიკაციებიც, რომელთა შესამოწმებლადაც გამოიყენება ის და მონაცემების დაცვის საკითხები, მას შემდეგ, რაც ის რეალურად დაინერგება და ამუშავდება
მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია წარმოადგენდა ფაქტობრივ უზუსტობას. დაწესებულებას ჰქონდა ხელშეკურულება და შესაბამისი ბრძნანება წარდგენილი, შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედებდა ბრძანება კონკრეტული ანტიპლაგიატის წესთან დაკავშირებით. განსაზღვრული იყო არა მხოლოდ პირდაპირი პლაგიატის კონკრეტული უბრალო პროცენტი, არამედ პირდაპირი ციტატების რაოდენობა, სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ციტირების პროცენტული მაჩენებელიც კი. გარდა ამისა, დაწესებულებას 3 წელია ჰქონდა 2 პროგრამა „Urkund" და "Strike Plagiarism", რომელთაც თავისი სახელმძღვანელოები ჰქონდათ, დეტალურად პროცენტულ მაჩვენებელთან და მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. რექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო ეს სახელმძღვანელოებიც, ხელმისაწვდომი იყო ქართულ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათთვის გაუგებარი იყო რით იყო გამოწვეული ექსპერტების ეს რეკომენდაცია, მით უმეტეს, წესი და დოკუმენტაცია აღნიშნულთან დაკავშირებით მათაც ჰქონდათ თავის დროზე გაგზავნილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქათამაძემგააკეთა განმარტება შემდეგ რეკომენდაციაზე:
8. მართალია, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის არსებობა თავისთავად საკმარისია, პერსონალმა და სტუდენტებმაც უნდა მოაწერონ მასზე ხელი უნივერსიტეტში მისვლის პირველივე დღეს, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.
მისი განმარტებით აღნიშნული საკითხი უზრუნველყოფილია, შემუშავებულია კეთილსინდისიერებისა და ეთიკის მარეგულირებელი კოდექსი, შესაბამისი მუხლებით. ინკორპორირებულია როგორც პერსონალის ისე სტუდენტების დადებულ ხელშეკურლებაში,რომელიც იურიდიული ტექნიკის საგანია, სტუდენტები და პერსონალიც ხელმოწერით ადასტურებდნენ კოდექსის გაცნობასა და თანხმობას მასზე. ფორმალური და პრაქტიკული თვალსაზრისით აღნიშნული რეკომენდაცია უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ. ამ რეკომენდაციის გათვალისწინება შეუძლებელი იყო მისი უკვე გათვალისწინებულობის გამო.
9. უცხოელი სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სტუდენტურ თვითმმართველობაში
უმაღლესი განათლების შესახებ კანონი კრძალავს უნივერსიტეტის ჩართულობას თვითმართველობის საქმიანობაში. ეს დისტანცირებული პროცესი იყო. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება შეუძლებელი იყო კანონთან შეუსაბამობის გამო.

10. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ტესტები.

ინგლისური ენის ტესტი შედგენილი იყო უნივერსიტეტში არსებულ ენის ცენტრის მიერ, ის სრულად შეესაბამებოდა ევროპულ საერთო ჩარჩოს, რომლის გადამოწმება და გადამუშავება ყოველწლიურად ხორციელდებოდა. რეკომენდაციის შინაარსი დაწესებულებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა, კონკრეტულად ის, თუ რა ნაწილში საჭიორებდა გაუმჯობესებას. კონკრეტული დაგრობრივი კომპეტენცია ენის ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტთა პანელის არც ერთ წევრს არ ჰქონდა, სწორედ ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება არ მოხდა ინსტიტუციის მიერ.

11. უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტები იმ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ დამაკმაყოფილებელი შედეგები, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ECTS კრედიტები საბაკალავრო პროგრამებში

13. განმარტებულ უნდა იქნას უცხოენოვანი კურსების „ნაწილობრივ“ დასრულებასთან და გამონაკლისებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

უნივერსიტეტის არცერთი სასწავლო პროგრამა და სასწავლო კურსი მსგავსს ჩანაწერს არ შეიცავდა, ამიტომ დაწესებულება ფიზიკურად მოკლებული იყო რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობას, რადგან რეკომენდაციების შინაარსი მათთვის გაუგებარი იყო.

14. აკადემიური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ონლაინში განთავსებულ სასწავლო გეგმას

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მსოფლიოში შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნებოდა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. აკადემიური კალენდარი რამდენჯერმე შეიცვალა, შეიცვალა დასკვნის წერის პროცესშიც კი. ექსპერტის ვიზიტის დროს მოქმდედი კალენდარი და ოქტომბერში გაგზავნილი განსხვავებული იქნებოდა. ექსპერტებს არ გამოუთხოვიათ ვიზიტის დროს მოქმედი აკადემიურ კალენდარი. მისი აზრით, ამ რეკომენდაციის არსებობა გამოქვეული იყო გაუგებრობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ მეთხუთმეტე რელპმენდაციასთან დაკავშირებით განმარტა:

15. იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო სასწავლო პროგრამების განხორციელება მაინც გადაწყდება (თუმცა, ასე არ უნდა მოხდეს), მაშინ ისინი უფრო დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს

დაწესებულების წამომაგდენლის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შესასრულებელი იყო. ვინაიდან, განაცხადის გაკეთების მომენტში სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა პროექტები წარდგენილი და არა საბოლოო ვარიანტები არც დოქტორანტურის დებულების და არც სადოქტორო პროგრამების. ეს დაწესებულების განმარტებით აბსოლუტურად ლოგიკური იყო. პრაქტიკაში განხორციელება მოხდებოდა, თუ დაწესებულება ავტორიზაციას გაივლიდა წარმატებით, ამის შემდგომ დადგენილი პროცედურის მიხედვით, რომელსაც დაწესებულება აკრედიტაციის გავლის პროცესში განახორციელებდა. მსგავსი რეკომენდაციის დადგენა მიუღებლად მიაჩნდათ ინსტიტუციის წარმომადგენლებს.

16. გამოცდები უნდა იყოს ანონიმური

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მსგავსი რეგულაცია მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა, გამოცდები ანონიმური უნდა ყოფილიყო თუ არა. ამგვარ ჩანაწერს არ ითვალისწინებდა საქართველოს კანონმდებლობა არც საკანონმდებლო და არც კანონქვემდებარე დონეზე. მსგავსი სავალდებულო ხასიათის რეკომენდაციის დადგენა ეწინააღდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ის ზღუდავდა უნივერსიტეტის აკადემიურ თავისუფლებას, მთელ რიგ იმ პრაქტიკულ კურსებს, რომლებშიც ფიზიკურად ვერ ჩატარდებოდა ანონიმური გამოცდა.

17. სამაგისტრო ნაშრომებში მეთოდოლოგიის ნაწილი უნდა იყოს სავალდებულო

ბოლო სამი წლის განმავლობაში 9 აკრედიტაციის ვიზიტი იქნა განხორციელებული დაწესებულებაში, 4 სამაგისტრო პროგრამამ, გაიარა აკრედიტაცია თანამედროვე სტანდარტით. ნაშრომის შესრულების წესი ითვალისწინებდა სავალდებულო ნაწილს, კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მეთოდოლოგიის გარეშე ფიზიკურად არ არსებობდა ნაშრომის დაცვის არანაირი შესაძლებლობა. დარგობრივი მიმართულებების მიხედვით, ბიზნესში, სამართალსა და თეოლოგიაში კვლევის მეთოდოლოგიები სხვადახვა რაოდენობით იყო წარმოდგენილი სხვადასხვა მოცულობით. საბჭოს რომ გაეთვალისწინებინა აღნიშნული რეკომენდაცია, პასუხის გაცემა მოუწევდათ, რომ არსებობდა აღნიშნული წესი და როგორ უნდა შექმნილიყო იმავე შინაარსის კიდევ ერთი, ანალოგიური წესი.

20. შემუშავდეს გეგმა, სადაც მოცემული იქნება მოთხოვნები და წახალისების ფორმები თანამშრომლების მიერ ნაშრომების გამოსაქვეყნებლად მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში და არა ადგილობრივ, შიდა გამოცემებში.

ამ კონკრეტულ რეკომენდაციასთან დაკავშირებითაც ანალოგიური ვითარება იყო. აღნიშნული წესი არსებობდა, ამ წესის მე-6 მუხლი და მთელი ის მექანიზმები, რომლებიც აქედან გამომდინარე აფილირების ხელშეკრულებაში და სხვა სამართლებრივ აქტებში იყო მოცემული რეალურად უკვე მოქმედებდა ორი წელიწადი იყო.

21. შეიქმნას თანამშრომლების პროფესიული რეზიუმეების განახლებული მონაცემთა ბაზა.

აღნიშნული რეკომენდაცია პრაქტიკაში არსებული და დანერგილი იყო. უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა რეზიუმეების ერთიანი ფორმა პერსონალისთვის, რომელიც არ ხორციელდებოდა ყოველ სემესტრულად, მუდმივი პროცესი იყო და გაგრძელდებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ საავტორიზაციო განაცხადი წარდგენილ იქნა 2020 წლის მაისში, ვიზიტი ადგილზე განხორციელდა 2020 წლის დეკემბერში, ფაქტობრივად ორი სემესტრის განახლებული, ბოლო ვერსია არ ჰქონდათ მიწოდებული ექსპერტებს.

24. საჭიროა შემუშვდეს მკაფიო მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ პროგრამებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას. ამასთან, ეს მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს საუკეთესო პრაქტიკას და აკადემიური პერსონალის აფილირებას. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი (მეთოდოლოგიის) დანერგვა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სასწავლო დატვირთვა მეტნაკლებად ნორმალურია, ეს უფრო შემთხვევითობაა, ვიდრე წინასწარ შემუშავებული გეგმის ნაწილი.

არც კონკრეტული საბუთების გამოთხოვისა და არც ზეპირი კომუნიკაციისას შესაბამის უფლებამოსილ პირებთან არ ყოფილა მოთხოვნილი და განხილული არც ჟურნალის დებულებები, არც სარედაქციო კოლეგიები. ერთი საერთაშორისო ჟურნალი უკვე გამოიცემოდა, ხოლო მეორეზე მიღება ცხადდებოდა. განვითარების კვლევების ინსტიტუტის ჟურნალს სარედაქციო კოლეგიაში ჰყავდა ექვსი ქვეყნიდან 15 განსხვავებული პროფესიის და სპეციალობის პროფესორი. ყველა მათგანი ითვალისწინებდა „Blind Review", ე.წ. „ორმაგ ბრმა რეცენზირებას", რეცენზირებითვისაც იყო თანხა გათვალისწინებული და იქაც საერთაშორისო ექსპერტები იყვნენ ჩართულები. დაწესებულების წარმომადგენელმა, მწუხარებით აღნიშნა, რომ არცერთი მსგავსი დოკუმენტი არ იქნა გამოთხოვილი, როგორც ვიზიტის განხორციელებისას, ისე შემდგომშიც. მსგავსი შინაარსის დადგენა ცდებოდა ფაქტობრივ რეალობას.

32. შემუშავდეს ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდის მექანიზმები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შემუშავებული იყო რეკომენდაციაში მოცემული მექანიზმი და ეს იყო რეკომენდაციის დუბლირება. არსებობდა კონკრეტული წახალისების მექანიზმები, წესი, რომელიც იმპლემენტირებული იყო. რეალოურად ამას მოჰქონდა შესაბამისი შედეგები. 35 აფილირებული პროფესორის მიერ შესრულებულ იქნა 23

ნაშრომი ERIH PLUS-ის და Index Copernicus-ის ინექსირებულ ბაზებში. სამწუხაროდ ექსპერტებმა Scopus-ის გარდა არც ერთი ნაშრომი არ მიიჩნიეს მაღალი დონის ნაშრომად, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები პრინციპულად არ ეთანხმებოდნენ.

36. საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი კვლევითი განაცხადებისთვის განიმარტოს შეფასების კრიტერიუმები.

აკადემიური კვლევების და განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებდა საკოორდინაციო საბჭო და ოპერირებდა ორი გაცხადებული კრიტერიუმით. პირველი, შესაბამისობა უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ კვლევით პრიორიტეტებთან და მეორე, კვლევის აქტუალობა. თუ საქმე ეხებოდა საბჭოს მიერ დაანონსებულ კონკრეტულ პროექტს, მას აქვს თავისი მიზნები და აქტუალობა, აქვს გამარჯვებულის გამოვლენის თავისი პრიორიტეტები და კრიტერიუმები. ეს იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური და უნივერსალური წესი ვერ იარსებებდა. საბჭოს ყავდა ექსპერტები, თუ მათი კომპეტენცია არ იქნებოდა საკმარისი, ინიშნებოდა დამატებითი ექსპეტი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

40. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ინიცირება განხორციელდეს თანახელმძღვანელობის სქემით, რათა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობისა და კვლევითი ნაშრომების ხარისხი

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა დადგენილიყო და სავალდებულო ხასიათის რაიმე რეკომენდაცია გაცემულიყო აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, რადგან ეს უნივერსიტეტის გადასაწყვეტი იყო. მიუხედავად ამისა გასულ წელს დაცული ნაშრომების 10% თანახელმძღვანელობით იყო განხორციელებული, მათ შორის უცხოელი პროფესორების თანახელმძღვანელობითაც. აღნიშნული, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სცდებოდა ავტორიზაციის სტანდარტს და შესაძლოა ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია. მისი თქმით, არ შეიძლობდა მსგავსი განმარტებისა და შინაარსის წინადადება ყოფილიყო მავალდებული და მბოჭავი ხასიათის. აღნიშნული პრაქტიკა ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პრეცენდენტულ ხასიათს შეიძენდა, რაც ავტომატურად ნიშნავდა სხვა უნივერსიტეტებში მსგავსი პრაქტიკის ამოქმედებას. ეს წარმოადგენდა უნივერსიტეტის დისკრეციაში და თავისუფლებაში მნიშნელოვან ჩარევას.

42. საევაკუაციო გასასვლელი კარი არ უნდა იყოს დამზადებული რკინისგან, უსდ-მ ეს უნდა შეცვალოს; გარდა ამისა, იგი შიგნიდან გარეთ უნდა იღებოდეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებაშ მოიწვია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის მიერაც გაიცა სპეციალური აქტი, სადაც დაფიქსირდა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. დაწესებულების ამოსავალი წერტილი ამ საკითხზე ზრუნვის დროს სწორედ ის იყო, რომ დაცული ყოფილილიყო ადამიანების ჯანმრთელობა. უნივერსიტეტის საუევაკუაციო კარი შუშის იყო და იღებოდა შიგნიდან გარეთ.

43. არქივისთვის განკუთვნილი სივრცე საკმარისი არ არის, უსდ-მ იგი უნდა გააფართოვოს. აღნიშნული სივრცე უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საარქივო მიზნებისთვის და არა როგორც ზოგადი სასაწყობე ოთახი.

აღნიშნულ საკითხზე მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც დაადგენდა თუ რა მოცულობის უნდა ყოფილიყო არქივი არ არსებობდა. ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, რომელიც გარკვევით აღნიშნავდა, რომ გამიჯნული უნდა ყოფილიყო საარქივო და დამხმარე სივრცეები რეალურად ასეც იყო. უნივერსიტეტი საქმის წარმოების დროს იყენებდა და მაქსიმალურად დამოკიდებული იყო დოკუმენტების გაციფრებაზე. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა ექსპერტების მოსაზრება არქივის სივრცის არასაკმარისობის შესახებ.

44. სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დასკვნა და რეკომენდაციები უნდა გაიცეს უფლებამოსილი სააგენტოს მიერ

''სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ'' კანონის თანახმად აღნიშნული პასუხისმგებლობა, ზედამხედველობა და სახანძრო უსაფრთხოება დაკისრებული ჰქონდა ზუსტად იმ ორგანოს ვისთანაც ითანამშრომლა დაწესებულებამ აღნიშნულ საკითხზე. შესაბამისად, იგივე მეორდებოდა ამ ორგანოს დებულებაში, რომელიც დამკტიცებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის ბრძანებით.

45. დაქირავებულ იქნას შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე ბიბლიოთეკარი.

ბიბლიოთეკაში დასაქმებული იყო 3 ადამიანიანი, მათ შორის ყველას უდასტურდებოდა ბიბლიოთეკაში მუშაობის კომპეტენცია. განსაკითრებით ბიბლიოთეკის მენეჯერს, რომელსაც სამუშაო გამოცდილება უდასტურდებოდა წიგნის პალატასა და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მისი სამუშაო გამოცდილება მხოლოდ ეროვნულ ბიბლიოთეკაში 10 წელს აღემატებოდა. აღნიშნულის გარემოების ამსახველი დოკუმენტაცია წარდგენილი იყო ექსპერტებისთვის.

46. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავებასა და განხილვაში ჩართულ იქნას ყველა დაინტერესებული მხარე.

თანამშრომელი, რომელიც გასაუბრების პერიოდში მონაწილეობდა ავტორიზაციის ვიზიტში იმ დროს ვერ იქნებოდა ჩართული ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებაში, რადგან ამ პოზიციაზე დანიშნულ იქნა 2020 წლის 1 ოქტომბერს, ბიზნეს უწყვეტობის გეგმა კი დამტკიცდა 2019 წლის სექტემბერში. ადამიანი, რომელიც იმ პერიოდში იკავებდა აღნიშნულ პოზიციას, ჩართული იყო ამ დოკუმენტის შემუშავებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის, დიმიტრი გეგენავას განმარტებით ისინი ვერ შეასრულებდნენ რეკომენდაციებს, რომელთა მოთხოვნებსაც ისედაც აკმაყოფილებდა დაწესებულება და მეორე, რომელთა მოთხოვნებიც კანონს ეწინააღმდეგებოდა. გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა არარა აქტი. დაახლოებით 20 რეკომენდაცია აღმოჩნდა, რომლებიც ან ფაქტობრივ უზუსტობას ეყრდნობდა ან მისი შესრულება დაწესებულებისთვის პასუხისმგებლობას გამოიწვევდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვა დანარჩენ რეკომენდაციებს დაწესებულება პრინციპულად არ იხიარებდა:

2. არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მისიის განაცხადი ასახავდეს რეალობას. საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტის ამბიცია, აწარმოებდეს მაღალი დონის კვლევით საქმიანობას, არ შეესაბამება მაღალი რეიტინგის მქონე პუბლიკაციებში გამოქვეყნებების ფაქტობრივ მაჩვენებელს.

4. დამატებითი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საკუთარ მიზნებს მიაღწიოს

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ მისია და ხედვა არის სამომავლო ხედვა, იქიდან გამომდინარე თუ რას ისახავ მიზნად ადგენ სტრატეგიას, სამოქმედო გეგმას და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევით საქმიანობას სჭირდებოდა ხეშეწყობა და განვითარება, ეს იყო დაწესებულების მისიის განაცხადი. 6 წლის მერე მიღწეული უნდა ყოფილიყო უკეთესი შედეგი. ალოგიკური და გაუგებარი იყო, რატომ შეფასდა აწყმო მისიის განაცხადში, როდესაც მისია იყო ის რეალობა, რომელიც უნდა დადგეს კონკრეტული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღწევის შემდგომ. გაუგებარი იყო თუ რა დამატებით კონკრეტულ რესურსებზე იყო საუბარი, ადამიანური რესურსის დანაკლისი იყო, ფინანსური, თუ რაიმე მატრიალურ ტექნიკური. დაწესებულების განმარტებით, მათი სტრატეგია დეტალურად იქნა გაწერილი და ბიუჯეტით დამტკიცებული, იყო თვლადი, გაზმოვადი, მიღწევადი, არგუმენტები.

6. უნივერსიტეტის გარე დაინტერესებული მხარეების (როგორიცაა მაგ., კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობა უფრო სისტემატიური და შინაარსიანი უნდა იყოს, მითუმეტეს იქ, სადაც აკადემიური პროგრამის შეფასების პროცესს ეხება საქმე.

28. განმტკიცდეს თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია შეყილაძემ აღნიშნა, რომ 6 და 28 რეკომენდაცია ერთი შინაარსის მატარებელი იყო, თუმცა სხვადასხვა სტანდარტში მოხვდა. ინსტიტუციის

განმარტებით, გარე დაინტერესებული მხარეები საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართული უნივერსიტეტის საქმიანობაში, პროგრამის შემუშავების და მასში ცვლილებების შეტანის დროს მუდმივი კონტაქტი ჰქონდა დაწესებულებას, როგორც კურსდამთავრებულებთან ასევე დამსაქმებლებთან, ე.წ. ეკონომიკურ აგენტებთან. ბოლო წლებში აკრედიტაცია გაიარა უნივერსიტეტის 9 პროგრამამ, დადებით პრაქტიკად იქნა გამოვლენილი წარმომადგენლობითობა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათგან მიღებული უკუკავშირი გახდა საფუძელი პროგრამებში ცვლილებების შეტანისა. აქედან გამომდინარე, ამაზე მეტი ინტენსივობის კომუნიკაციის დავალდებულება იმპერატიულად, უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩარევა იქნებოდა.

12. უნდა მოხდეს მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული მექანიზმებისა და კითხვარების გამოყენება.

გამოკითვები ინტეგრირებულია სწავლო ბაზაში, ჩართულები არიან სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი. ანონიმირობა გარანტირებულია. ეს არის შედეგზე დაფუძნებული. წინა ორი რეკომენდაციის მსგავსად, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება ვერ მოხდებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ წარმატებით ხორციელდებოდა პრაქტიკულ დონეზე.

23. გაიზარდოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაფინანსება

აღნიშნული გადანაწილებულია, როგორც სამეცნიერო აქტიურ კვლევითი ნაწილის ბიუჯეტში, ისე განვითარების ბიუჯეტში მათ ჰქონდათ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. დაწესებულების განმარტებით, მათ ფიზიკურად არ სჭირდებოდათ პროგრამის ბიუჯეტში გაწერა, ვინაიდან დაწესებულებას ჰყავდა საერთაშორისო დონორები, შემოთაბაზებული იყო ძალიან ბევრი და კარგი საშუალება რაც ბევრი უნივერსიტეტისთვის დახურული იყო. მათთვის ღია იყო ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ექსკლუზიურად აერთიანებენ საუნივერსიტეტო ქსელებს. ყველა აფელირებული პერსონალის გაგზავნა საზღვარგარეთ, მათი კვლევებში მონაწილეობა და კონფერენციები გარდა ერასმუსისა ექსკლუზიური პროექტებით იყო განპირობებული. ამას ბიუჯეტში ვერ განსაზღვრავდნენ, რადგან მის საჭიროებას ვერ ხედავენ. ყოველ წლიურად რამდენიმე ადამიანი მიდი ოდა სტიპენდიით ნოტერდამის უნივერსიტეტში. 2-4 პროფესორი მიდოდა ნოტერდამის საერთაშორისო ლიდერების სკოლაში მონაწილეობის მისაღებად. 2 პროფესორი მიდიოდა რომში ახალი კურსების მისაღებად. არსებობდა ექსკლუზიური კურსები გერმანიაში, იტალიაში, ესპანეტთსა და ბელგიაში.

30. განხორციელდეს სტუდენტების მხარდაჭერა და წახალისება, ადგილობრივ და საერთშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით.

ყოველწიულრად 60-მდე სტუდენტის ნაშრომი ფასდებოდა და ქვეყნდებოდა, დიდი რიცხვია იმის ფონზე, რომ უნივერსიტეტი 1000 სტუდენტს აერთიანებდა. ექსკლუზიური ნაშრომები მაგისტრატურისა და ბაკალავრის დონეზე, სტუდენტთა კრებულების დაფინანსება, ინდივიდუალური წიგნების დაფინანსება ასევე მათი მონაწილეობა მათთვის შექმნილ ღონისძიებებში ეს დაწესებულების გამორჩეული მხარე იყო. ბაკალავრიატის სტუდენტების ჩართულობაზეც ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, იქნება ეს თარგმანები თუ საველე კვლევითი სამუშაოები.

33. განვითარდეს და დაინერგოს უფრო ეფექტური მექანიზმები, სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის მიზნით

როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მათ არგუმეტირებულ პოზიციაში ამ რეკომენდაციის დუბლირებასთან დაკავშირებით აღნიშნეს, თუმცა რეკომენდაცია მაინც დარჩა. რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ხეოოვნურად მოხდა 6 სტანდარტის დაწევა ნაწილობრივ შესაბამისობაზე.

38. შემუშავდეს დასაქმების უფრო მკაფიო პოლიტიკა, მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოზიდვის და გაიზარდოს მათი ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.
დაწესებულება არ დაეთანხმა ექპსერტა ჯგუფს და განაცხადა, რომ ჰყავდათ კვალიფიციური და მზარდი პერსონალი. აქცენტს აკეთებდნენ ახალგაზრდა სპეციალისტებზე, რომლებსაც საქართველოში და უცხოეთში ჰქონდათ მიღებული განათლება, დაცული აქვთ ან იცავენ დისერტაციებს. ეს იყო გაცხადებული პოლიტიკა რომელიც 9 პროგრამის აკრედიტაციის დროს შექებული და ერთერთ საუკეთესო ნიშნად გამოტანილი. ამ მიმართულებით დაწებულება ვერ გაითვალისწინებს მსგავს რეკომენდაციას, რომელიც პრინციპულად იყო მიუღებელი.

39. განხორციელდეს ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში და საერთაშორისო კვლევითი გრანტების მოპოვებაში აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობის წახალისება, გაიზარდოს საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში; მოხდეს უცხოელი პარტნიორების მოწვევა ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნის პროცესში
დაწესებულების განმარტებით, იყო მუშა პროცესი, რასაც პრაქტიკაში ახორციელებდნენ. კვლევების მიმართულებით დაწესებულებას სჭირდებოდა განვითარება, რაც სწორედ სადოქტორო საფეხურის არსებობას უკავშირდებიდა. კვლევების ახალ შესაძლებლობას ახალი პარტნიორების მოწვევას. დაწესებულებას 16 ქვეყნის 40 უნივერსიტეტთან ჰქონდა კონტაქტი, ყოველ 20 სტუდენტზე 1 აკადემიური მობილობა Erasmus-ით და დამატებითი პროგრამებით, მიუხედავად ამისა დაწესებულება მაინც დაეთანხმა კვლევითი მიმარულებთ უნივერსიტეტებთან კონტაქტების გაღრმავებას. რადგან, როდესაც დაწესებულებას არ აქვს სადოქრორო საფეხური პარტნიორი უნივერსიტეტი ნაკლებად მოდის თანამშრომლობაზე კვლევითი თვალსაზრისით, ისევ არჩევანის აკეთებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ფარგლებში თანამშრომლობას.
41. გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და მათთან აფილირებული აკადემიური პერსონალის ცნობიერება შეფასების პროცედურებთან, ღირებულებებთან/ეფექტურობასთან და შედეგებთან დაკავშირებით
დაწესებულებისთვის პრინციპულად მიუღებელია რეკომენდაცია. თავისი სამეცნიერო კვლევითი ერთეულები ჰყავთ ჯამში 6 და რაოდენობის გაზრდას არ აპირებენ. მათში ჩართული არ იყო ყველა აკადემიური პერსონალი. წარმოდუგენლად მიაჩნდათ ფაკულტეტის ყველა პერსონალი ყოფილიყო ყველა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობაში ჩართული. აღნიშნული წარმოადგენდადა დაწესებულების დისკრედიას.

47. დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვლევების ბიუჯეტი.
48. სასურველია მეტი გამჭვირვალობა ბიუჯეტის დაგეგმვის კუთხით, კერძოდ, ინტერნაციონალიზაციასა და ადმინისტრაციას შორის გადაკვეთასთან დაკავშირებით
ბოლო ორი რეკომენდაცია 7.4 კომპონენტან იყო დაკავშირებული. 47-ე რეკომენდაციასთან დაკავშრებით უნივერსიტეტმა 3 წელია გაცნობიერებულად დაიწყო სადოქტორო პროგრამების დამატებისთვის ქმედებების განხორციელება. მას შემდეგ კვლევებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის რაოდენობა იზრდებოდა. მაგალითად გასულ წელს თუ იყო საერთო ბიუჯეტის 15%, მომდევნო 7 წლის განმავლობაში, საერთო ბიუჯეტის 22%-მდე იზრდება კვლევების დაფინანსების დინამიკა, როდესაც საშუალოდ უნივერსიტეტების სტატისტიკა საერთო ბიუჯეტთან 10% გამოყოფილი. დამატებითი რესურდებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტს შეუძლია ეს საკითხო გადაჭრას ძალიან მოკლე ვადაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების მიხედვით, როდესაც პრობლემის აღოფხვრა საჭიროებდა 1 წელზე ნაკლებ დროს, ამ შემთხვევაში შეფასება უნდა ყოფილიყო „მეტწილი“ და არა „ნაწილობრივი“. დამატებითი რესურსების მოძიება შესაძლებელი იყო, თუ დაკონკრეტდებოდა კვლევების რა ნაწილში იყო ბიუჯეტის დანაკლისი . მეორე ნაწილს

ფინანსური რესურსის კუთხით გამიჯვნას ინტერნაციონალიზაციისათვის ბიუჯეტის მუხლებიდან, ეს რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენლება აღიქვეს იმგვარად, რომ ცალკე მუხლად უნდა მოხდეს ინტერნაციონალიზაციისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის გამოყოფა. მნიშნელოვნად დაასახელეს გარემოება რომ, არანაირი მომწესრიგებელი ნორმა საფინანსო საქმიანობის კუთხით არ არსებობდა იმის შესახებ, თუ რომელ მუხლებს უნდა მოიცავდეს და აკონკრეტებდეს ინტერანციონალიზაციის ბიუჯეტი. ბიუჯეტში მუხლები დალაგებული უნდა იყოს მისი საჭიროებებიდან გამომდინარე. როდესაც საუბარი იყო პროგრამების განხორციელებაში უცხოელო პროფესურის მოწვევის ნაწილზე და მათთვის ანაზღაურების გაცემაზე, ეს ნაწილი ბიუჯეტში მითითებული იყო ადმინისტრაციული ხარჯის ნაწილში. ხოლო როდესაც საუბარი იყო დაწესებულების პროფესორების საერთაშირისო მობილობის ან კვლევების დაფინანსებაზე ეს ნაწილი სამეცნიერო აქტივობების ნაწილში უნდა შესულიყო. უნივერსიტეტი არაერთი გრანტის მიმღებია, რომელიც საერთაშორისო პარტნიორებიდან მოდიოდა. ამ ნაწილში არცერთი შენიშნვნა არ დაფიქსირებულა ბიუჯეტთან დაკავშირებით. 1 წლის წინ დაწესებულებამ ცენტრის დახმარებით გაიარა განმავითრებელი შეფასება უცხოელი ექსერტის ჩართულობით და ზუსტად 7.4 კომპონენტში შეფასდა, როგორც „შეფასებაშია მოთხოვნებთან“.

ექსპერტმა ნინო ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ინგლისურენოვანი დასკვნის თარგმნის დროს, გარკვეული უზუსტობა გაიპარა, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა გამცემი ორგანოს შესახებ, ექსპერტების მიერ თითქოს მოთხოვნილ იქნა, არა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ, არამედ სხვა ორგანოს მიერ ყოფილიყო გაცემული. ექსპერტის განმარტებით, დასკვნში მითითებული იყო, რომ სწორედ ამ სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა და დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები უნდა შესრულებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის მაისში საავტორიზაციო განაცხადთან ცენტრში წარადგინა, აღნიშნული სამსახურის მიერ გაცემული უნივერსიტეტისათვის მიწერილობა, სადაც განსაზღვრული იყო რეკომენდაციები, რომელიც დადგინდა პირველ ვიზიტზე და მისცეს ვადა მათ შესასრულებლად. განაცხადის გაგზავნის პერიოდისთვის შემოწმების ვადა სრულად ამოწურული არ იყო, მათი დებულების მიხედვით ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, რომ დათქმულ ვადაში მოვიდნენ და შეამოწმონ, გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ რეკომენდაციები და შემდგომ გაიცემოდა საბოლოო დასკვნა. ვიზიტის პერიოდში დამატებით მიმართა უნივერსიტეტმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ოქტომბერში, მაშინ, როდესაც ყველა ვადა იქნა გასული ყველა რეკომენდაციისა. აღნიშნულმა სამსახურმა გასცა დასკვნა, დადებითი აქტი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ადგილზე ვიზიტის დროს შეეძლო დაწესებულებას მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინა ექსპერტებისთვის. დასკვნა უნივერსიტეტში არსებობს და მისი თარიღი უსწრებს წინ ექსპერტების ვიზიტის თარიღს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისთვის, რომელიც ყველაზე მოცულობითი იყო რაც კი ოდესმე მიუღია სხვა დაწესებულების შეფასების დროს. იმის მიუხედავად, რომ დიდი დრო დაეთმო განხილვას მას ჰქონდა გარკვეული საკითხები, რამაც მისი აღელვება გამოიწვია. მათ გადაწყვეტილება მიიღეს და დასკვნა დაწერეს, იმ შეფასებების საფუძველზე, რაც გაკეთდა დაწესებულებაშ ვიზიტის დროს.დაწესებულების წარმომადგენლები ისე იცავდნენ თავის პოზიციას, როგორც მირადი ადვოკატები. მან აღნიშნა, რომ ის არ იყო საქართველოს კანონმდებლობაში ექსპერტი და შესაძლოა ზოგიერთ გაცემულ რეკომენდაციაში იყო ფაქტობრივი უზუსტობა. თუმცა, მისთვის მიუღებელი იყო დაწესებულების წარმომადგენლების ტონი, როგორ იყო მომზადებული არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ფაქტი მიუთითებდა არაპროფესიონალიზმზე. პრეზენტაცია მოიცავდა, ძალიან ბევრ ინფორმაციას რეკომენდაციებზე პასუხის ნაწილში და ამაზე ჩაღრმავება ძალიან შორს წავიდოდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ

გადაწყვიტა, რეკომენდაციები დარჩენილიყო დასკვნაში იმ სახით როგორც მათ წარადგინეს და არ შეეტანათ ცვლილებები.
რაც შეეხება ანტიპლაგიატის პროგრამაზე გაცემულ რეკომენდაციას, თვლიან, რომ ინსტიტუციის მხრიდან ვერ იქნა სწორად გაგებული პათოსი, ექსპერტის განცხადებით თავად ჩართული იყო ანტიპლაგიატის პროგრამის განხორციელებაში. მისი მოსაზრებით დაწესებულებას უნდა ჰქონოდა გაწერილი პოლიტიკა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემუშავა ამ პროგრამას, სტუდენტებისთვისაც უნდა ყოფილიყო მიწოდებული ის თუ, როგორ მუშაობს პროგრამა. მისი განმარტებით, მხილოდ software-ის არსებობა არ იყო საკმარისი. ინსტიტუცია შეაფასეს, როგორც ძალიან კარგი სასწავლო უნივერსიტეტი. მას ჰქონდა შესაძლებლობა გამხდარიყო უკეთესი. შეფასების ანონიმურობასთან დაკავშირებული რეკომენდაციაც გამომდინარეობდა მსოფლიოს უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკებიდან. ექპსერტა პამელმა თავისი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება გადაწყვიტა. განსაკუთრებით სადაო საკითხად სადოქტორო საფეხურთან მიმართებით არსებული თემა დასახელდა და აღინიშნა, რომ სადოქტორო საფეხურის განხორციელება და სადოქტორო პროგრამების განხორციელება ნიშნავდა, კონკრეტული მიმართულებით, კონკრეტული სფეროს გაფართოების, ინოვაციებისა და სიახლის შექმნას. იმ მდგომარეობაში როდესაც ინსტიტუციას არ ჰქონდა შესაძლებლობა და რესურსი, რომ განეხორციელებინა სადოქტორო პროგრამები. პირველ რიგში კარგად უნდა ყოფილიყო გააზრებული სადოქტრორო საფეხურის მნიშვნელობა და სანამ ყველა ფაქტორი არ იქნებოდა სრულყოფილი, არ ღირდა სადოქტორო საფეხურის დამატება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ბოდიში მოიხადა, თუ ბუნებრივმა რეაქციამ და აღელვებამ რაიმე უხერხულობა გამოიწვია, თუმცა არ შეეძლოთ არ აღენიშნათ იმ ფაქტობრივ უზუსტობებთან დაკავშირებით, რაც კანონს ეწინააღმდეგენოდა და ამას ვერ გაითვალისწინებდნენ. ავტორიზაცია წარმოადგენდა გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესს. მისი აზრით რეკომენდაციების უმრავლესობა იყო ძალიან კარგი რჩევა, თუმცა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სავალდებულო ხასიათის. მისი თქმით, ან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ იცნობდა ავტორიზაციის სტანდარტებს, ან თავად, დაწესებულების წამომადგენლებმა აღიქვეს არასწორად მათი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვაჟა ვარდიძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მათთვის ბუნდოვანი და არაარგუმენტირებული იყო ექსპერტების პოზიცია, თუ რატომ არ უნდა გაეხორცილებეინა უნივერსიტეტს სადოქტორო საფეხური. ამასთან, დაბნეულობას იწვევდა მათი მოსაზრება, რომ უნივერსიტეტი არის ძალიან კარგი, თუმცა არ უნდა განახორციელოს სადოქტორო პროგრამები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.
საბჭოს წევრს, დავით ბოსტოღანაშვილს კითხვები ჰქონდა როგორც ექსპერტებთან, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან. იგი იზიარებდა დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციას გამოცდების ანონიმიურობასა და უცხოელი სტუდენტების თვითმართველობაში ჩართულობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ და სხვა ამგვარი რეკომენდაციების განხორციელება საკმაოდ გაუჭირდებოდა დაწესებულებას. მისი მოსაზრებით უნდა ყოფილიყო რჩევების კატეგორიაში. ერთის მხრივ ექსპერტა ჯგუფი აღნიშნავდა, რომ დაწესებულებამ უარი უნდა თქვას პროგრამების განხორციელების ამბიციაზე, ამავდროულად დასკვნის შეფასების ნაწილში დადებით შეფასებას აძლევენ დაწესებულებას, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი მიიღებდა ავტორიზაციას, ეს შეფასება ამისათვის საკმარისი იყო. ექსპერტთა ჯგფს ჰკითხა, რითი იყო ამგვარი წინააღმდეგონრიობა გამოწვეული.
საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ამბობდა, რომ უნივერსიტეტი არ ახორციელებდა კვლევით საქმიანობას. მაგრამ იმისათვის, რომ დაწესებულებამ დაიწყოს სადოქტორო პრორამების განხორცილება, რაც უმაღლესი განათლების ყველაზე მაღალი საფეხურია, საჭირო იყო მას საუკეთესო კვლევითი ცენტრი ჰქონოდა, რაც ამ ეტაპზე, არსებულილ რესურსებიდან გამომდინარე, მომდევნო 3, 4, 5 წლის განმავლობაში არ ექნებოდა.

ექსპერტთა ჯგუფი არ ამბობდა, რომ დაწესებულება ვერადროს შეძლებდა სადოქტორო პროგრამის განხორციელებას, მათი პოზიცია იყო, რომ მოცემულ ეტაპზე ეს იქნებოდა არასწორი მიმართულება დაწესებულებისთის. უსამართლობა იქნებოდა, სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ ისეთი სადოქტორო პროგრამა, რომელიც მათ არ მისცემდა რაღაც ახალის აღმოჩენისა შესაძლებლობას კონკრეტული მიმართულებით მეცნიერებაში. ექსპერტთა ჯგუფს რომ ენახა, ინსტიტუციას ჰქონოდა გაკრვეული გეგმა, რომელიც წარმოაჩენდა ყოველი წლის ქმედებას და იმას თუ რას გააკეთებდა ამ მიმართულების განვითარებისათვის ეჭვები არ იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, რომელიც ეხებოდა 3.1 კომპონენტს: ''უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის შემუშავების განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობა''. უნივერსიტეტმა დოკუმენტაციაში წარმოადგინა, სადოქტორო პროგრამები "სამართლისა" და "თეოლოგიის", იგი დაინტერესდა, რომელი დოკუმენტის საფუძელზე შეიმუშავა აღნიშნული პროგრამები დაწესებულებამ, რადგან თვითშეფასებაში ასეთ სახელმძღვანელო დოკუმენტად დასახელებული იყო „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი", თუმცა, მისი თქმით ამ წესში სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით არაფერი იკითხებოდა..

5.1 სტანდარტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა, ''უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსის მოპოვების შეჩერების შეწყვეტის და ა.შ. წესი''. თვითშეფასების დოკუმენტში ამგვარ დოკუმენტად მითითებული იყო სასწავლო პროცესის დებულება, არ იყო ნახსენები დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების შესახებ არანაირი ინფორმაცია. შესაძლოა დაწესებულებას ეთქვა, რომ დოქტორანტურის განხორციელება იყო სამომავლო საკითხი და ამგვარი წესიც სამომავლოდ შემუშავდებოდა, თუმცა მან ხაზი გაუსვა, რომ ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობის დროს ყველა საჭირო მარეგუირებელი დოკუმენტაცია დაწესებულებას უკვე უნდა ჰქონოდა შემუშავებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა რა განმარტება ჰქონდათ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებს.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება საავტორიზაციოდ წარმოდგელი იყო როგორც არა „სასწავლო უნივერსიტეტი", არამედ - „უნივერსიტეტი". ექსპერტთა დასკვნაში ძირითადი მიგნება იყო, რომ უნივერსიტეტს არ უნდა განეხორციელებინა სადოქტორო საფეხური. ამავდროულად დასკვნაში არსებული შეფასებები იძლეოდა შესაძლებლობას ავტორიზაციის მინიჭებისა. წინააღმდეგობა იყო დასკვნაში და მან ქართველი ექსპერტებისგან ითხოვა მკაფიო განმარტება, რამ გამოიწვია აღნიშნული შეუსაბამობა.

იგი ასევე დაინტერესდა ქართველი ექსპერტების განმარტებით სტუდენტური თვითმმართველობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დროგორ უნდა უზრუნველეყო ინსტიტუციას თვითმართველობის სტუდენტთა ჩართულობის საკითხი.

ინტერნაციონალიზაციის ნაწილში რა დამატებით რესურსებზე იყო კონკრეტულად საუბარი, ამასთან დაკავშირებითაც ითხოვა განმარტება.

ასევე იყო რეკომენდაცია, რომ ერთი მხრივ გამიზნული იყო სადოქტორო სკოლის შექმნა გამიზნული, მეორე მხრივ - სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება. ამასთან დაკავშირებითაც მირე განმარტება ითხოვა.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ ექსპერტს სთხოვა განმარტება, რა შეფასება იწერებოდა რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში და რა - რჩევის?

1.2 კომპონენტი გულისხმობდა, რომ არსებობდა სტარტეგიის განხორციელების შეფასების პროცესი და შემდგომი რეაგირება, რათა მოხდეს მისი ეფექტურად განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ხორციელდება სტრატეგიის

ყოველკვარტლული შეფასება, ანალიზი და შმედგომი რეაგირება. იგი დაინტერესდა ექსპერტებმა ვიზიტის დროს თუ ნახეს ამგვარი კვარტლური შეფასება. დაწესებულებას მიმართა თუ არსებობდა, როგორი იყო წინა წლების პრეცედენტები, რა რეაგირებები მოჰყვა.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ არნიშნა, რომ სტანდარტში ნათლად იყო ჩამოყალიბებული, თუ რა პრინციპზე უნდა ყოფილიყო სტრატეგიული განვითარების გეგმა აგებული. უნდა იყოს მითითებული, განსახორციელებელი აქტივობები, ვადები, რესურსები. ზოგადად აღწერილი იყო, თუმცა ყოველ აქტივობასთან დაკავშირებით არა. მან ითხოვა განმარტება, უნდა ყოფილიყო თუ არა სტანდარტის ეს მოთხოვნა გათვალისწინებული.
მისი თქმით, კარგად იყო გაწერილი დაწესებულების მიერ გასაუმჯობესებელი მხარეები. დარგობრივი მიმართულების ანალიზის მე-9 გვერდზე იკითხებოდა ფრაზები „ბრენდი ნაკლებად ცნობილია', „საბაუნის, როგორც ბრენდის ნაკლები ცნობადობა", „მარკეტინგული სტრატეგიის არ არსებობა" და ა.შ. იმმავე გვერდსა და იმავე სვეტში. საბჭოს წევრი დაინტერესდა ტექნიკური ხარვეზით იყო გამოწვეული თუ ასე უნდა ყოფილიყო.
რაც შეეხებოდა კვლევით ნაწილს, უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული იყო პერსონალი. იგი დაინტერესდა, უნდა ჰქონოდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული „სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დებულება", როგორც საბჭოს წევრმა აღნიშნა, მან ასეთი დოკუმენტი დაწესებულების ვებ-გვერდზე ვერ იპოვა. დადებითად შეაფასა, დაწესებულების შვიდი კვლევითი ერთეული, თუმცა ამასთან დაინტერესდა უნდა ჰყოლოდა თუ არა სამეცნიერო პერსონალი, აქ არ იგულისხმებოდა აკადემიური პერსონალი, არამედ ის ვინც უშუალოდ კვლევებზე იქნებოდა მხოლოდ ორიენტირებული.
15:51 საათზე ლელა სალაყაიამ დატოვა საბჭოს სხდომა.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ აღნიშნა, რომ მათთვის ვინც ინგლისური არ იცოდა, რთული იქნებოდა უცხოელი ექსპერტის მოსაზრებები პოზიტიურ კონტექსტში იქნა გამოთქმული, თუ ნეგატიურ. მან ცენტრს სთქოვა, შეძლებისდაგვარად მოეგვარებინათ თარგმანის საკითხი.
მან ასევე აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო როგორ შეიძლება უნივერსიტეტი ყოფილიყო „სუპერ" სასწავლო უნივერსიტეტი და როგორ უნდა განვითარებულიყო ისე, რომ სადოქტორო საფეხურის განვითარება შეძლებოდა, თუ ამის საშუალებას არ მიეცემოდა. აღნიშნული შეუსაბამობები დასკვნაში გარკვევით და დეტალურად უნდა ყოფილიყო ასახული.
საბჭოს თავმჯდომარემ ანიშნა, რომ 584 აქტიური სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას, ხოლო 556 სტატუსი ჰქონდა შეჩერებული. მათი დიდი ნაწილი მაგისტრანტი იყო. იგი დაინტერესდა, ამ მდგომარეობაში როგორ ახერხებდა დაწესებულება ფინანსურ სტაბილურობას.
2.2 კომპონენტში არის რეკომენდაცია, ''უნივერსიტეტის გარე დაინტერესებული მხარეების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობა უფრო სისტემატური და შინაარსიანი უნდა იყოს. მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება აკადემიური პროგრამის შეფასებას. ასეთი რჩევის მიცემა ყველა დაწესებულებისთვის შეიძლებოდა. იქვე, 3.1 კომპონენტში მითითებული ოყო, რომ უნივერსიტეტი ესაუბრება დამსაქმებლებს და ცდილობს კურსდამთავრებულების ჩართვას პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში, ასევე ცდილობს გაზრადოს კურსდამთავრებულთა ჩართულობა. ყოველივე აღნიშნული, იძლეოდა იმის თქმის საფუძველს, რომ შესაძლოა არ ჰქონდეს მას რეკომენდაციის სახე.
დამატებითი განმარტება ითხოვა 2.3 კომპონენტთან დაკავშრებით სადაც პლაგიარისმთან დაკაშირებით იყო საუბარი და დაწესებულების პოზიცია მისთვის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. 7, 8, 9 რეკომენდაციასთან დაკავშრებით ექსპერტებთან ჰქონდა კითხვები, როგორც მათ აღნიშნეს ეთიკის კოდექსს სტუდენტებიც უნდა აწერდნენ ხელს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა თქვეს, რომ სტუდენტები აწერდნენ ხელს ამ დოკუმენს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ დარჩა ეს რეკომენდაცია ისევ დასკვნაში, არ ნახეს ექსპერტებმა აღნიშნული თუ, რით იყო გამოწვეული.

შემდეგი კითხვა ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურასა და მეთოდოლოგიას. კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულების წესში მითითებული იყო პროექტის მიზანი, თუმცა სტრუქტურა, მეთოდოლოგიის ნაწილი და მოცულობა ვერ მოიძია, რაზეც ექსპერტები დასკვნაში საუბრობდნენ. ექსპერტებს სთხოვა განმარტება, იყო ასეთი ჩანაწერი თუ არა.
მე-5 და მე-19 რეკომენდაციებთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ დაწესებულებისგან ითხოვა არგუმენტირებული განმარტება. რაც შეეხებოდა ორგანიზაციული სტრუქტურის გამართვას. მისი თქმით, საკონსულტაციო ორგანიზაციის მოწვევა არ ნიშნავდა ორგანიზაციას გამართული და ეფექტური სტრუქტურის შექმნას .

ექსპერტმა, ნინო ტალიაშვილმა განმარტა დასკვნაში არსებული ე.წ. შეუსაბამობის შეახებ. ვინაიდან დასკვნა შეფასებული იყო იმდაგვარად, რომ ავტორიზაციის მინიჭების საფუძველს იძლეოდა. ამავდროულად, ნათქვამი იყო, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელება, ამ ეტაპზე, არ იყო მიზანშეწონილი. მისი განმარტებით, სამართლებრივად, ავტორიზაციის დებულების მიხედვით დაწესებულებამ საავტორიზაცო განაცხადი შემოიტანა „უნივერსიტეტის“ სტატუსის მაძიებლად, რაც სტატუსის ცვლილებას გულისხმობდა. უნდა შეეფასებინათ, როგორც უნივერსიტეტი, თუმცა არსებობდა მეორე მხარე, რომ არ შეფასებულიყო დადებითად, დაწესებულება დაკარგავდა ავტორიზაციას. ექსპერტმა განმარტა, რომ ეცადნენ ოქროს შუალედის დაჭერას, რომელიც, მისი თქმით, არ შედგა. სადოქტორო პროგრამის დამატებისთვის, გაჟღერებული არგუმენტებიდან გამოდმინარე, რომელიც კვლევას ეხებოდა, დაწესებულება ამ ეტაპზე მზად არ იყო. თუმცა როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, იყო განვითარებადი და აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს.
ექსპერტმა, ნინო ჟვანიამ 2.2 კომპონენტთან დაკავშირებულ კითხვაზე უპასუხა, რომელიც გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ეხებოდა. მისი თქმით, დაინტერესებული მხარეები მართლაც ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დასტურდებოდა შესაბამისი დოკუმენტებით და ინტერვიუებით. თუმცა რეკომენდაცია ეხებოდა მათ ჩართულობას პროგრამის შეფასების ნაწილში. ასევე, დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ შესაძლოა ნებისმიერ უნივერსიტეტისთვის ყოფილიყო რელევანტური ეს რეკომენდაცია, რომელიც ორიენტირებული იყო მექანიზმებისა და მიდგომების განვითარებაზე.
ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი გიორგიძემ განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულებით განზაზღვრული იყო, რა შემთხვევაში იწერებოდა რჩევა ან რეკომენდაცია.
ექსპერტმა, ნინო ტალიაშვილმა განმარტა, რეკომენდაცია იწერებოდა იმ შემთვევაში თუ ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ რომელიმე კრიტერიუმს არ შეესაბამება, რეკომენდაციის ხარისზი განსაზღვრავდა მის შეფასებას მეტწილო იქნებოდა თუ ნაწილობრივი. ხოლო რჩევა იყო კეთიი სურვილები, რომლებიც დაწესებულებას დაეხმარებოდა განვითარებაში. როდესაც ესა თუ ის კომპონენტი ბოლომდე არ იყო ავტორიზაციის დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში, დაიწერა რეკომენდაციები და შეფასდა მეტწილად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების და განვითარების წესი პროგრამის შეფასებაში მონაწილეობასაც გულისხმობდა და არა მხოლოდ შექმნის პროცესში. ის ფაქტი, რომ გასაუბრებაში მონაწილე კურსდამთავრებულები არ იყვნენ ჩართულები შეფასებაში, არ ნიშნავდა, რომ სხვა კურსდამთავრებულები არ იღებდნენ ამ პროცეში მონაწილეობას, რაც ასევე დასტურდებოდა ოქმებით. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას შეეძლო ექსპერტებისთვის წარმოედგინა აღნიშნული ოქმები. სახელობითად შეეძლო დამსაქმებლების დასახელება რომლებიც ყოველსემესტრულად მონაწილეობდნენ ამ პროცესში. მისი თქმით, გასაკვირი იყო, რატომ მოხდა აქცენტირება მხოლოდ პროგრამის შემუშავების ნაწილზე.
დაწესებულებას თავიდანვე განსაზღვრული ჰქონდა მისია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, რომელიც გაცილებით კონკრეტული იყო და ბიუჯეტი მიბმული იყო ამ ყველაფერზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დოქტორანტურის დებულების პროექტში იქნა გაწერილი სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეწყვეტა, შეჩერების დეტალური ინფორმაცია. ვინაიდან, სასწავლო პროცესის დებულება მოქმედი დოკუმენტი იყო თავს უფლება ვერ მისცეს, რომ დოქტორანტებზე ყოფილიყო რაიმე ჩანაწერი. თუნდაც რეფერენსული დათქმა. ჰქონოდა, რომ დანარჩენს გაითვალისწინებდა დოქტორანტურის დებულება. ცალკე დოქტორანტურის დებულებაში დაწესებულება ეთანხმებოდა და აღნიშნა საკითხის დიდი მნიშვნელობის შესახებ. პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით, ნამდვილად წარმოდგენილ დოკუმენტში ვერ იქნებოდა დოქტორანტურა. მსჯელობისა და კონსულტაციების შემდეგ, თუ როგორი ფორმით უნდა მოხმდარიყო დებულებების წარმოდგენა, გადაწყდა, რომ ექნებოდა პროექტის სახე. რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხს, ამ თვალსაზრისით გაწერილი იყო როგორც სტრატეგიაში, ისე სამოქმედო გეგმაში დეტალურად, ადამიანის საჭიროები რესურსების მიმართულებით, მატერიალურ ტექნიკური რესურსების მიმართულებით, კვლევის დაფინანსების მიმართულებით. დაწესებულება შეეცადა, რომ ყველაფერი ყოფილიყო თვლადი, გაზომვადი და მიღწევადი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კონკრეტული აქტივობები სტრატეგიულ გეგმაში არ იყო, რადგან აღნიშნული სამოქმედო გეგმაში იყო გაწერილი. არსებობდა მისია, მისიიდან გამომდინარეობდა სტრატეგია და სტრატეგიიდან - სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა იყო მოკე, საშუალო და გრძელდვადიანი, გაწერილი თვეების და თარიღების მიხედვით, აქტივობების და ინდიკატორების მიხედვით. რაც შეეხებოდა, ბრენდს და ბრენდულ ცნობადობას, ეს ნამდვილად არ იყო შეცდომა, შესაძლოა ტერმინოლოგიურად ცოტა განსხვავებული ყოფილიყო ერთმანეთისგან, მაგრამ ეს იყო იმ ანალიზის შედეგები, რომლებიც ჩატარებული იყო დაწესებულების მიერ.

რაც შეეხება კითხვას, სამეცნიერო კვლევითი ერთულების დებულებასთან დაკავშირებით, ყველა ერთეულის დებულება არსებობდა, რომელიც რექტორის ბრძანებით იყო დამტკიცებული. თუმცა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდღე მხოლოდ ზოგადი წესები იყო განთავსებული. ამ ეტაპზე დაწესებულებას სამეცნიერო პერსონალი არ ჰყავდა, მაგრამ დებულებები ითვალისწინებდა, როგორც მოწვეული პერსონალის, ისე სამეცნიერო პერსონალის არსებობას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარის კითხვასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ აღნიშნული რიცხვები იყო წინა სემესტრის, როდესაც პანდემიის და ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის გამო სტუდენტების დიდმა რაოდენობამ ტატუსი შეიჩერა. მოცემული დროისთვის კი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა 1000 აღემატებოდა. ბოლო სამი წლის დინამიკა იყო უწყვეტად მზარდი, გაორმაგდა კიდეც წინა წლის მიღება ბაკალავრიატზე, გახუთმაგდა მაგისტრატურაზე. რაც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების კვლევის მეთოდოლოგიას, მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით იყო ზოგადი წესი, ხოლო კონკრეტული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მათ განსაზღვრული ჰქონდათ თითოეული დარგის კვლევის მეთოდებში, თვით სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. კვლევის მეთოდოლოგიის აღწერითი ნაწილი სამართალში გაცილებით მცირე იყო, როდესაც ბიზნესში შესაძლოა ეფუძნებოდეს მთელი სამაგისტრო ნაშრომი.

დუბლირებასთან დაკავშირებული პრობლემა, მისი აზრით, გამოიწვია კვლავ თარგმანის შესაძლო ხარვეზმა. დაწესებულებას ჰყავდა აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი, ასევე აკადემიური კვლევის ანალიზისა და მონიტორინგის მენეჯერი. ერთი ხარისხს წარმოადგენდა, მეორე - დაგეგმვის ნაწილი იყო. დუბლირებასთან დაკავშირებით ორ შემთხვევაში საჯარო უნივერსიტეტის სტანდარტი შეუფარდეს კერძო უნივერსიტეტს, რექტორთან და აკადემიურ საბჭოსთან მიმართებით, რაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უნივერსიტეტს არ ეხებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კავკასიის რეგიონში ერთადერთი თეოლოგიის პროგრამა და კვლევითი ერთეული ჰქონდა უნივერსიტეტს. რომელსაც 100-ზე მეტი ნაშრომი ჰქონდა გამოცემული, რომლითაც ისწავლებოდა რელიგიათმცოდნოება და

თეოლოგია მთელს ქვეყანაში. მისითქმით აღნიშნულ თემაზე კიდევ უფრო დაკონკრეტება და პასუხის გაცემა მათი სამეცნიერო პერსონალის დაკნინება იქნებოდა, ამქედან გამომდინარე, პრინციპულად არ გასცემდა პასუხს ამ თემასთან დაკავშირებულ შეკითხვეს.
საბჭოს წევრი, თამარ ვეფხვაძე დაინტერესდა ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან დაკაშირებით გამოთქმული მოსაზრებებისა და დახასიათების შესახებ რამ გამოიწვია რადიკალურად განსხვავებული პოზიცია ექსპერტებისა და დაწესებულების.
საერთაშორისო ექსპერტის განმარტებით, მათი მოსაზრება ეფუძნებოდა ვიზიტის დროს გამოვლენილ გარემოებებს, გასაუბრებას ბიბლიოთეკართან. ამასთან, მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ზედმეტად ხარჯავდა დროს იმის გამეორებაში, რაც არგუმენტირებულ პოზიციაში ისედაც ჰქონდათ მოწერილი.
საერთაშორისო ექსპერტმა საბჭოს მიმართა, რომ უნდა დაეტოვებინა საბჭოს სხდომა, რადგან იმაზე მეტ დროს გაგრძელდა სხდომა, ვიდრე ინფორმირებული იყო.
ექსპერტ ნინო პატარაიას განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი შეფასების დროს არ ეყრდნობოდა მხოლოდ დოკუმენტაციიდან ამოკითხულ ინფორმაციას, ამ ინდორმაციის გადამოწმება ხდებოდა მრავალმხრივ. შესაბამისად, ის საკითხები რაც დოკუმენტირად არსებობს, გაზიარებული უნდა ყოფილიყო ყველა მხარის მიერ. რეკომენდაციები რომელიც მათ მიერ გაიცა, ეფუძვნებოდა სხვადასხვა საშუალებით მიღებული ინფორმაციის ანალიზს. შესაბამისად, ექსპეტთა ჯგუფმა ამ თვალსაზრისით ბევრი აცდენა ნახა ადგილზე გასაუბრებით სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებთან გასაუბრების დროს, მაგ.: ბიბლიოთეკართან და სხვა. თანხვედრაში უნდა ყოფილიყო დოკუმეტაცია და ვიზიტზე განხორციელებული გასაუბრების შედეგები. დაწესებულება კვლევითი მიმართულებით გაგრძელებას მშვენივრად განახორციელებდა თუმცა შეჯერებული პიზიციიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ იყო მზად და არ გააჩნდა მას ამის რესურსი. შესაძლოა მათ ჰქონდეთ გამოცემული სახელმძღვანელოები, თუმცა, ეს არ იყო საკამრისი იმისთის, რომ დაწესებულებას შეეთავაზებინა სტუდენტებისთის სადოქტორო განათლება, რადგან არ იქნებოდა კონკურენტუნარიანი ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე. მისი თქმით, კვლევითი ინტიტუტების ანგარიშები, შედეგები ძირითადად კონცენტიტრებული იყო ადგილობრივი ბაზრისთვის. სამეცნიერო ხარისხი ფასდებოდა სამეცნიერო პუბლიკაციებით მაღალრეიტიგნულ სამეცნიერო ჟურნალებში, ექსპერტებმა ამის სათანადო მტკიცებულება ვერ დაინახეს. გარკვეული კომპეტენცია აქვს დაწესებულებას, რაც, შესაძლოა, საკმარისი იყოს სამაგისტრო საფეხურისთვის. ყურადღება დასკვნაში მეექვსე სტანდარტზეა გამახვილებული, რომელიც უკავშირდება კვლევით კომპეტენციას.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყურადღება უნდა გამახვილებულიყო უნივერსიტეტის სპეციფიკაზე. დაწესებულების მისიაში აღნიშნული იყო, რომ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების მიმართულება ჰქონდა აღებული. მან საბჭოს იურისტი წევრებს მიმართა, მათ კარგად მოეხსენებოდათ იურისტის სამეცნიერო მიღწევები Scopus-ით ფასდებოდა თუ არა. მისი თქმით, იურისტების მიღწევები მთლიანად უგულვებელყოფილი იგნა, რადგან სხვა სამეცნიერო ჟურნალები და გამოქვეყნებები, გარდა Scopus-ისა ექსპერტებმა არ მიიღეს სარწმუნოდ. რასაც ექსპერტი არ დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

17:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. ასევე, საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა დაწესებულებაში 2 წელიწადში სრული მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 563 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით. ასევე, საბჭომ იშუამდგომლა ცენტრთან 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

3. სსიპ-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგის საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტები ია მოსაშვილი და ბაია პატარაია მიესალმნენ საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას. ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ 2020 წელს დაწესებულებაში რამდენჯერმე განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი, ყველა ამ პროცესში თავადაც მონაწილეობდა და აქედან გამომინარე, საფუძვლიანად იცნობდა დაწესებულების საკითხებს

და მდგომარეობას. ამჟამინდელი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში მხოლოდ მეორე სტანდრატთან შესაბამისობა შეფასდა, რაც 2020 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით განესაზღვრა.

რეკომენდაციები:

2.1 კომპონენტთან მიმართებით:

ექსპერტმა ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ გაცემული იყო 3 რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დოკუმენტაციას და ინტერვიუების დროსაც მაქსიმალურად შეეცადნენ დაენახათ ის, თუ რამდენად შესრულდა აღნიშნული რკეომენდაციები.

რეკომენდაცია N1: უზრუნველყავით ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა ეფექტიანად და კოორდინირებულად განახორციელოს საკუთარი ფუნქციები.

წარმოდგენილი თვითშეფასების და ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა, რომ რეკომენდაციის ნაწილი გათვალისწინებული იყო. თუმცა ცვლელებები განხორციელების შემდგომ ზოგიერთი პრობლემა თავიდან გამოიკვეთა და მათი ვიზიტის დროს არ იყო სრულყოფილი, საჭიროებდა დახვეწას. ძირითადი პრობლემები ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და დიზაინთან დაკავშრებით გამოვლინდა კერძოდ, ორგანიზაციულ სტრუქტურაში გაჩნდა ახალი ერთეული, რომელიც არ იკითხებოდა, როგორ იყო დაკავშირებული სხვა ფუნქციონალურ ერთეულებთან და აგრეთვე, მოცემულ შემთხვევაში, რექტორის დაქვემდებარების ქვეშ კიდევ უფრო გაიზარდა ფუნქციონალური ერთეულები და ქვედანაყოფები. სწორედ ამასთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვის ნიშნები. შესაძლოა საბოლოოდ ეფექტურობის კომპონენტი ეჭქვეშ დაეყენებინას აღნიშნულ საკითხს.

რეკომენდაცია N2: უზრუნველყავით ყველა საკითხთან დაკავშირებით მართვის ორგანოებში დროული და ეფექტნიანი გადაწყვეტილების მიღება.

დასკვნაში მოცემული იყო, როგორ ხდებოდა რეალურად მართვა ამ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. ნაწილობრივ გათვალისიწინებული იყო რეკომენდაცია, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ჰქონდათ, რომ კონტროლის მექანიზმები საკმაოდ გაამკაცრა უნივერსიტეტმა, ბალანსი კი დარღვეული იყო. ერთი კონრეტული ბიზნეს პროცესი რომ ყოფილიყო აღებული, ან ერთი კონკრეტული სტრუქტურის სამუშაო, იმდენად დიდი წილი მოდიოდა კონტროლის მექანიზმების შესრულებაზე, რომ ასეთი დიდი დოზებით კონტროლის მექანიზმების შემოტანას შესაძლოა გამოეწვია მწარმოებლობის პროცესების შენელება.

რეკომენდაცია N3: ჩამოაყალიბეთ თანამდებობრივი ინსტრუქციები ნათლად და უზრუნველყავით მათი პერსონალისათვის გაცნობა.

ექსპერტის თქმით, აქაც რიგი ღონისძიებები იყო დაწესებულების მხრიდან გატარებული, რათა თანამდებობები და უფლებამოვალეობები შეთანხმებული ყოფილიყო თანამშრომლებთან და ინტერვიუების დროს ეს ყოველივე დადგინდა. ამ პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურა. თუმცა ამ სტრუქტურული ერთეულის გენერალური მოდელი, დანიშნულება და ორგანიზაციული ქვესტრუქტუტული ნაწილი არ იყო გაწერილი მონიტორინგის პერიოდისათვის. დაწესებულების მხრიდან ამ საკითზე პასუხი იყო, რომ როდესაც დაკომპლექტდებოდა სტრუქტურული ერთეული კადრებით, ისინი შექმნიდნენ ამ ნაწილს. ექსპერტის თქმით, მენეჯმენტში ასე არ ხდებოდა, ჯერ ადამიანები აგყვავდეს სამსახურში და შემდგომ ეს ადამიანები თავად განსაზღვრავდნენ თავიანთ როლსა და უფლებამოვალეობებს.

ექსპერტმა ლარისა პატარაიამ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები წარადგინა საბჭოს სხდომაზე:

- გაიმართოს ორგანიზაციული სტრუქტურა და გადაიხედოს ორგანიზაციული სტრუქტურის გენერალური მოდელი;
- გადაიხედოს რექტორის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი ფუნქციონალური და სტრუქტურული ერთეულები და საჭიროების შემთხვევაში დაემატოს ახალი მიმართულება,

რომელსაც უხელმძღვანელებს მეოთხე მოადგილე. ან ფუნქციონალური ერთეულები გადანაწილდეს მოადგილეებთან, რათა რექტორს გამოუთავისუფლდეს რესურსი სტრატეგიულ ამოცანებზე კონცენტრაციის მიზნით;

- ვაკანსიების გამოცხადებამდე შემუშავდეს სტრუქტურული ერთეულის დეტალური დებულება, მომზადდეს სტარტეგიული დანიშნულების დოკუმენტი გაფორმდეს ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა გაიწეროს თანამდებობებტივი ინსტრუქციები, რათა საზღვაო სამეცნიერო კვლევითი ცენტრმა ეფექტურად შეასრულოს დანიშნულება.

ექსპერტმა ია მოსაშვილმა 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა ის 6 რეკომენდაცია რაც მონიტორინგით ჰქონდა განსაზღვრული და არც მათ ჰქონიათ დამატებითი რეკომენდაციები. თუმცა იყო რჩევები:

რჩევა N1: უმჯობესი იქნება თუ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის ანალიზს ექნება ნარატივის სახე.

მისი თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ ექსელის ფაილი, სადაც რთული იყო იმის დანახვა, ამ სამოქმედო გეგმის შესრულების დროს როგორ ხდებოდა მისი ანალიზი.

რჩევა N2: სასურველია მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის განხორციელების სიხშირე განისაზღვროს საჭიროებიდან გამომდინარე. მართვის ეფექნტაინობის მონიტორინგის შემთხვევაში ხდებოდეს მისი იმ დროს ჩატარება, როდესაც ეს საჭიროება იქნება.

2.3 სტანდარტთან დაკავშირებით ეთიკისა და კეთილსინდისირების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით ყველაფერი არ იყო შერსულებული. იყო გარკვეული საკითხები, რომელიც კიდევ საჭიროებდა ყურადღებას.

უნივერსიტეტს ჰქონდა გარკვეული პრობლემა სამეცნიერო კვლევის და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოსთან. ის აღარ არსებობდა და იყო „სამეცნიერო კვლევის ინოვაციების ცენტრის“ სახელით დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად, სწორედ ამ სამმართველოში იყო გამოკვეთილი გარკვეული საკითხები, რომელიც მონიტორიგნის ფარგლებში იქნა რეკომენდაციებად გაცემული.

ორი რეკომენდაცია კვლავ დარჩა წინა რეკომენდაციებიდან:

1. მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ 2020 წელს მიღებული ყველა გადაწყვეყილების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად.

აქ იგულისხმებოდა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა მასალები, რომ მათ გადახედეს 2020 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუმცა ექსპერტებმა ვერ დაინახეს იმ გადაწყვეტილების გადახედვის საკითხი, რომლის გამოც ეს გარემოებია დადგა.

1. შემუშავებულ იქნას გამჭვირვალე მექანიზმი აკადემიური თავისუფლების პრინციპების დასაცავად უნივერსიტეტში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასაუბრების დროს პერსონალი ერთხმად აღნიშნავდა იმ თავისუფლების შესახებ რასაც უნივერსიტეტში გრძნობდნენ. თუმცა ექსპერტის აზრით, მექანიზმი ნამდვილად უნდა ყოფილიყო.

ვაჟა ანანიძემ საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა განცხადების კაგეთების საშუალება მიეცა, რადგან 2020 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ მოხსენების მოსმენა მისთვის აზრს მოკლებული იყო. საბჭოს თავმჯდომარემ მას მოუწონდა, საბჭოს პროცედურის გათვალისწინებით, ექსპერტთა პოზიციის წარმოდგენის და დაწესებულების წარმომადგენლების საპასუხო გამოსვლის შემდგომ გაეკეთებინა განცხადება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირაკლი შარაბიძემ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს. კვლავ შეეცდებოდნენ განევითარებინათ მეორე სტანდარტი და აკადემია ყოფილიყო მოწოდების სიმაღლეზე. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია იყო სასწავლო უნივერსიტეტი. მათ დაიწყეს მუშაობა სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით, აქედან გამომდინარე გაიხსნა სამეცნიერო კვლევითი ინოვაციების ცენტრი. ცენტრი შედგა, პერსონალი დაინიშნა. აკადემიის სტრუქტურა და საორგანიზაციო საკითხების შეცვლა შესაძლებელი იყო. ყოველი წლის ბოლოს განხილვა ხდებოდა და შესაძლებელი იყო მოადგილის საკურაციოში გადანაცვლება.

18:20 საათზე ვაჟა ანანიძემ საბჭოს სხდომა დატოვა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საზღვაო აკადმია სპეციფიკური მიმართულება იყო, დიდი ვალდებულება აკისრიათ სტუდენტებისა და მომავალი მეზღვაურობის დასაქმებაში. შეიქმნა, კარიერული მხარდადჭერის დეპარტამენტიც. აკადემიის წარმომადგენელმა ნინო ყურშუბაძემ აღნიშნა, რომ მათ იმუშავეს თექვსმეტივე რეკომენდაციაზე და მეტწილად შეასრულა. რაც შეეხება სტრუქტურას, დაქვემდებარებებს, რექტორის ქვედანაყოფების დაქვემდებარებებს, უფლებამოვალეობებსა და მათ გამიჯვნას, დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა, გამოკითხეს საზღვაო აკადემიაში დასაქმებული, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი. გადაიხედა და მკაფიოდ გაიწიერა პერსონალის უფლებამოვალეობები. შემუშავებულია ელექტრონული პორტალი, სადაც თანამშრიმლის უფლებამოვალეობები სრულად იყო აღწერილი, რაც ამარტივებდა თანამშრომელთან შეთანხმების პროცესს. შემდგომში კი გამორიცხავდა, თანამშრომლის საკუთარი უფლებამოვალეობის არ ცოდნას. მათ ასევე იმუშავეს პერსონალის ეფექტურობის შეფასების კუთით და გახადეს პერსონალის შეფასება დამოკიდებული კონკრეტულ შეფასების კრიტერიუმებზე და გასცეს რეკომენდაცია პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების კუთხით. დაკონკრეტდა ისეთი პროცედურები, რომლებიც შეეხებოდა მაგსტრატურის საფეხურზე ნაშრომის მომზადების გაფორმების წესს. იმუშავეს ასევე კვლევითი მიმართულებით და დახვეწეს კვლევის სტარტეგია.

ვინაიდან ანგარიშის წარდგენის დროს შერჩევის კონკურსი არ იყო დასრულებული არ იყო დებულება დამტკიცებული. ექსპერტების გამოთქმული მოსაზრება კონტროლის მექანიზმის შესახებ, რომელიც საკმაოდ მკაცრად შეაფასეს. დაწესებულების წარმომადგენლის, თქმით კონტროლის მექანიზმი მკაცრი არ არის, უბრალოდ ითვალისწინებდა იმ საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს, რომელიც იყო დანერგილი საზღვაო აკადემიაში და ითვალისწინებდა არა მხოლოდ პროცესების რეგულარულ აუდიტს, არამედ მათ მიერ შესრულებული საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას. მკაფიოდ იყო განსაზღვრული სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში ჩასატარებელი შიდა აუდიტების გეგმა და აგერთვე არსებობდა წესი და პროცედურა თუ როგორ ხდებოდა მაკორექტირებელი გეგმის შემუშავება და შესრულების მიკვლევადობა. რაც შეეხება, სტატისტიკური ექსელის ფაილს, ეს იყო ექსპერტებისთვის მიწოდებული. აღნიშნული სტატისტიკური ფაილი ასახავდა, სტრუქტურული ერთეულების მიერ მიცემული ანგარიშის რაოდენობრივ სტატისტიკას. რაც აძლევდა დაწესებულებას საშუალებას ენახა თითოეული ამოცანა, რომელიც იყო შესასრულებელი, რამდენად სრულდებოდა პროცესში და იყო თუ არა რაიმე დაბრკოლება. აღნიშნული რეპორტინგი იძლეოდა საშუალებას სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს პერიოდულად გაეკეთებინა თვითშეფასება, ამით უფრო მარტივდებოდა ანგარიშების წარმოდგენა. რაც შეეხებოდა რექტორის დაქვემდებარებაში მყოფ სრტუქტურულ ერთეულებს, ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ამასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. რექტორის დაქვემდებარებაში დარჩა მხოლოდ ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ითვალისწინებდა ჩამოყალიბებას და განვითარებას, ეს იყო კვლევითი ცენტრი, ფოთის ფილიალი, ინტერნაციონალიზაცია და კარიერული მხარდაჭერა. აკადემიური თავისუფლება, დაწესებულების წარმომადგენლის, თქმით დაცული იყო. რაც შეეხებოდა პროცესების გამჭვირვალობას, პირველი მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ისეთი

დოკუმენტაცია, რომელიც ასახავდა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, პროცესის ტრანსფარანტულობას, აკადემიური თანაშმრომლობის ჩართულობას. მათ პროცედურულად ჩამოაყალიბეს ისეთი წესები, როგორებიცაა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების წესი როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის და ა.შ. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეთიკის დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვას შეეხებოდა, დაწესებულების იმერ გადმოგზავნილი იყო მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ყველა გადაწყვეტილება იყო შიდა რეგულაციების შესაბამისი. საერთაშორისო მარეგულირებელი სააგენტოს დირექტორის ბრძანებით, რომელიც რეგულარულად ატარებდა საზღვაო აკადემიაში აუდიტს, როგორც აკადემიის ხარისხის სამსახურში, ასევე მეზღვაურთა გადამზადების ცენტრში, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა ყველა ის ვითრება რომელმაც, სავარაუდოდ, გამოიწვია აღნიშნული საქმის წარმოების დაწყება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, ან ვინმეს ხომ არ სურდა განცხადების გაკეთება.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ ითხოვა სიტყვა. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საზღვაო განათლება საქართველობაში რეგულირებად პროფესიას წარმოადგენდა. ის რეგულირდებოდა საერთაშორისო კონვენციებითა და კანონით. მისი თქმით, მეზღვაურების განათლების ხარისხი იზომებოდა მათი დასაქმების მაჩვენებლით. პანდემიის პერიოდში, მარტიდან დეკემბრის ჩათვლით მონაცემებით, ჯამში 12 600-მდე მეზღვაური გვყავდა. ამათგან 85% დადასტურებული ინფორმაციით დასაქმებული იყო საერთაშორისო გემზე მაღალანაზღაურებად კომპანიებში. საზღვაო აკადემიაში ეფექტურობას გაზომავდა არა მხოლოდ ავტორიზაციის სტანდარტები, მეზღვაურთა საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია. ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტო განსაზღვრავს მონიტორინგის სტანდარტებს. საქართველო ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ატარებდა თვითშეფასებას, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციაში იგზავნებოდა, სადაც კომპეტენტური პირები განიხილავდნენ და ადასტურებდნენ. მსოფლიოს 74 სახელმწიოფოდან 50-ში საქართველო იყო საუკეთესოების რიცხვში. სპეციალური კანონმდებლობა რომელიც მეზღაურთა განათებაში მოქმედებდა, დაწესებულებებს ავალდებულებდა ჰქონოდა სავალდებულო წესით დანერგილი ზარისხის მართვის სისტემა ISO სტანდარტების მიხედვით. როდესაც საუბარი იყო რეგულირებად პროფესიაზე, აუცილებელი იყო მთლიანი კონტექსტის გააზრება. უნდა იქნას გათვალისწინებული საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა წვრთნის შესახებ, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლების და სერტიფიცირების შესახებ. მისი თქმით, როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, რეკომენდაციები გაითვალისწინეს. ამასთან მან აღნიშნა, რომ საზღვაო დაწესებულებები საერთაშორისო მარეგულირებლებლებს იმდენად სრულყოფილი მონიტორინგის სისტემა ჰქონდა, რომ საზღვაო აკადემიას რომ არ დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები მათი აღიარება ვერ ექნებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აკადემიის კურსდამთავრებულები ვერ დასაქმდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

19:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა: 19:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 17:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
აბაშიძე ივანე